ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2300876

ნომერი: AR1352737

თარიღი : 28.10.2015

გაცემის თარიღი : 17.11.2015

გაცნობის თარიღი : 18.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის ქუჩა N21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ დემეტრაძე პ/ნ 01010006142
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 15 ბ. 53

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.08.2010 წ. №1256 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 28.10.2015 წლის AR1352737 განცხადებით მომართეს მოქალაქე ვლადიმერ დემეტრაძემ და შპს „სოხუმი-2004“-ის დირექტორმა გიორგი გვასალიამ და მოითხოვეს სამსახურის მიერ გაცემულ 23.08.2010 წლის №1256 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საკადასტრო ერთეულის მონაცემების შეცვლა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 23.08.2010 წ. №01.10.10.020.002 (3265 კვ.მ.) №01.10.10.020.003 (2629 კვ.მ) №01.10.10.020.004 (460 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულებზე შერეული ფუნქციის

ობიექტის აშენების მიზნით დამტკიცდა №1256 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. მოგვიანებით სამსახურის 08.01.2014 წლის №1070524 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული: №01.10.10.020.152 ფართობი – 6397.00 კვ.მ.), რომლის თანახმადაც შეცვლილია საკადასტრო ერთეულის მონაცემები.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.08.2010 წლის №1256 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს 6397კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს- №01.10.10.020.152;
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.08.2010 წლის №1256 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს: იმ შემთხვევაში თუ ამონაწერში საჯარო რეესტრიდან დაფიქსირებული ვალდებულება ეხება მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას, გათვალისწინებული იქნეს აღნიშნული ვალდებულება.
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.08.2010 წლის №1256 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ფუნქციური ზონების დანართი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.08.2010 წლის №1256 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და 08.01.2014 წლის №1070524 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.